

კ ა დ მ ო ს ი

ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი

3.2011

K A D M O S

Journal of Studies of Humanities

3.2011



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

LIA STATE UNIVERSITY

თბილისი 2011 Tbilisi

რედაქტორი: ზურაბ კიკნაძე
სარედაქციო
კოლეგია: ნინო აბაკელია
შუქია აფრიდონიძე
ვინფრიდ ბოდერი
ნინო დობორჯგინიძე
ირინა ლობჯანიძე (მდივანი)
ლუიჯი მაგაროტო
დონალდ რეიფილდი
მერაბ ლალანიძე
გურამ ყიფიანი
ნინო ჭიჭინაძე

Editor-in-Chief: Zurab Kiknadze
Editorial Board: Nino Abakelia
Shukia Apridonidze
Winfried Boeder
Nino Dobordjginidze
Nino Chichinadze
Merab Ghaghanidze
Guram Kipiani
Irina Lobzhanidze (Secretary)
Luigi Magarotto
Donald Rayfield

ჟურნალი რეფერირებადია

ყდაზე: სამადლოს ელინისტური ხანის პითოსის მონატულობის
ფრაგმენტი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

© 2011, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

© 2011, Ilia State University

ISSN 1987-8788

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

დატივის გადანაცვლება იდიომურ გამოთქმებში (ქართულსა და ახალ ბერძნულში)

ირინა ლობჯანიძე

რეზიუმე

სხვადასხვა გრამატიკების – წარმომშობი [კაცი და პოსტალი, 1963, ვაინრაინი, 1969 და ფრეიზერი, 1970], სტრატეგიკაციული [ჰოკეტი, 1956, მაკაი, 1972] და სხვა გრამატიკების ფარგლებში შემუშავებული სინტაქსური თეორიების უმეტესობა ცხადყოფს ზმნური იდიომების ტრანსფორმაციულ თავისებურებებს. აღნიშნული თავისებურებანი კი ზეგავლენას ახდენს იდიომების თარგმნაზე, ჩვენ შემთხვევაში, მათ თარგმნაზე ახალი ბერძნულიდან (L1) ქართულად (L2) და პირუკუ. იმის გათვალისწინებით, რომ ზმნური (VP) ან სახელური (NP) იდიომების ანალიზი ყველაზე მეტ ინფორმაციას გვაწვდის მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური დონეების გადაკვეთის შესახებ, სტატიაში წარმოდგენილია ლექსიკური დონის იდიომების ანალიზი, როგორცაა, მაგალითად, βγάξει τησ ψυχή κάποιου – სულს ამოაძრობს, βγάψει η ψυχή – სული ამოსდის და ა.შ. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, პასუხი უნდა გაცემოდა შემდეგ კითხვებს: 1. თუ რომელიმე ახალბერძნული იდიომი ექვემდებარება განსაზღვრულ სინტაქსურ ცვლას (მათ შორის, პასივიზაციას, დატივის გადანაცვლებას და ა.შ.) ახდენს თუ არა მსგავსი ტრანსფორმაციები რაიმე ზეგავლენას მის ქართულენოვან თარგმანზე; 2. შეგვიძლია თუ არა განვსაზღვროთ სინტაქსური მიმართებების დონე იმ ენებს შორის, რომლებსაც განსხვავებული მორფოსინტაქსური სტრუქტურა ახასიათებთ; 3. შეეძლება თუ არა დავიყვანოთ იდიომების თარგმნა მხოლოდ მათი სემანტიკური მნიშვნელობის შენარჩუნებამდე მათი მორფოსინტაქსური ქცევის უგულვებლყოფით? გარდა ამ კითხვებზე პასუხის გაცემისა, სტატია მიზნად ისახავდა მორფოსინტაქსური მსგავსებების გამოვლენას დატივის გადანაცვლებისა და აქტივ-პასივის კონსტრუქციების ურთიერთობის თვალსაზრისით ახალ ქართულსა და ახალ ბერძნულში.

საკვანძო სიტყვები: იდიომები, დატივის გადანაცვლება, პასივიზაცია, კონვერსია

შესავალი

სხვადასხვა გრამატიკების – წარმომშობი [კაცი და პოსტალი, 1963, ვაინრაიხი, 1969 და ფრეიზერი, 1970], სტრატეგიკაციული [ჰოკეტი, 1956, მაკაი, 1972] და შესიტყვების სტრუქტურის წამყვანი კომპონენტის [საგი, 1994, რიმანი, 2001] ფარგლებში შემუშავებული სინტაქსური თეორიების უმეტესობა ცხადყოფს იდიომების სინტაქსურ თავისებურებებს, მათ შორის, ზმნური კომპონენტების ტრანსფორმაციულ ცვლას, როგორცაა გარდამავლობა, ნომინალიზაცია და ა.შ. აღნიშნული თავისებურებანი ზეგავლენას ახდენენ იდიომების თარგმანზე, კერძოდ, მათ თარგმანზე ახალი ბერძნულიდან (L1) ქართულად (L2) და პირუკუ. იმის გათვალისწინებით, რომ ზმნური (VP) ან სახელური (NP) იდიომების ანალიზი ყველაზე მეტ ინფორმაციას გვაწვდის მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური დონეების ურთიერთგადაკვეთის შესახებ და იდიომების ამოცნობის, დეკოდირებისა და გაგების საშუალებები ავლენენ იდიომური გამოთქმების შემდეგ დონეებს: 1. ლექსიკური დონე (LL), რომელიც ავლენს მსგავს ლექსიკურ ერთეულებს ქართულსა და ახალბერძნულში; 2. სემილექსიკური დონე (SLL), რომელიც ავლენს ნაწილობრივ მსგავს ლექსიკურ ერთეულებს ქართულსა და ახალბერძნულში; 3. პოსტლექსიკური დონე, რომელიც ავლენს განსხვავებულ ერთეულებს ქართულსა და ახალბერძნულში [ლიონტასი 2002:19], შესწავლილია ისეთი ზმნური იდიომები, რომლებიც ავლენს სრულ ან ნაწილობრივ მსგავსებას ახალ ბერძნულსა (L1) და ახალ ქართულში (L2), მაგ.:

1. βγᾶζει τῆς ψυχῆς κάποιου – სულს ამოაძრობს
2. βγᾶνει η ψυχῆ – სული ამოსდის და ა.შ.

აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, მოცემულია ცდა, პასუხი გასცემოდა შემდეგ კითხვებს: 1. თუ ესა თუ ის ახალბერძნული იდიომი ექვემდებარება განსაზღვრულ სინტაქსურ ცვლილებას (მათ შორის, პასივიზაციას, დატივის გადანაცვლებას და ა.შ.) ახდენს თუ არა მსგავსი ტრანსფორმაცია რაიმე ზეგავლენას მათ ქართულენოვან ან ბერძნულენოვან თარგმანზე; 2. შეიძლება თუ არა განვსაზღვროთ სინტაქსური მიმართებების დონე იმ ენებს შორის, რომლებსაც განსხვავებული მორფოსინტაქსური სტრუქტურა ახასიათებთ; 3. შეიძლება თუ არა დავიყვანოთ იდიომების თარგმან მხოლოდ მათ სემანტიკურ მნიშვნელობამდე და არ მივაქციოთ ყურადღება მათ მორფოსინტაქსურ ქცევას წინადადებაში?

გარდა ამისა, მიზნად ვისახავდით იმ მორფოსინტაქსურ მსგავსებათა გამოვლენას, რომელიც შეინიშნება დატივის გადანაცვლებისა

და აქტივ-პასივის კონსტრუქციების ურთიერთობის თვალსაზრისით ახალ ქართულსა და ახალ ბერძნულში.

სტატიის სტრუქტურა ასეთია: პირველი ნაწილი მოიცავს საკვლევ საკითხებსა და მათ ირგვლივ არსებულ თეორიულ საფუძვლებს; მეორე ნაწილი ეხება კვლევისას გამოყენებულ მეთოდოლოგიას; მესამე ნაწილში წარმოდგენილია კვლევის შედეგები და ჰიპოთეზები, რომლებსაც წარმოვადგენთ ქართული და ახალბერძნული იდიომური გამოთქმების მორფოსინტაქსური აღწერის სახით, და; მეოთხე ნაწილი მოიცავს პასუხებსა და დასკვნებს.

საკვლევი საკითხი

ნებისმიერი იდიომი, მიუხედავად სტრუქტურული სხვაობისა (ზმნური (VP) იქნება იგი, თუ სახელური (NP), იძლევა მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური კავშირების გამოვლენის შესაძლებლობას. მათი ტრანსფორმაციულ შესაძლებლობათა კვლევისას და სხვა ენაზე მათი გადმოცემისას პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს, რომლებიც წამოიჭრება კვლევის პროცესში:

ა) როდესაც ესა თუ ის ქართული იდიომი ექვემდებარება სინტაქსურ ცვლილებას, იცვლება თუ არა ან როგორ იცვლება იგი თარგმნისას, კერძოდ, ახდენს თუ არა ამა თუ იმ კონკრეტულ ენაში სინტაქსური ცვლის უნარი ზეგავლენას ლექსიკური დონის უცხოენოვანი იდიომების თარგმანზე?

ბ) შეიძლება თუ არა გრამატიკული, კერძოდ, სინტაქსური შესაბამისობის დადგენა სხვადასხვა ენაში არსებულ ლექსიკური დონის იდიომურ გამოთქმებს შორის და რამდენად ხშირია მსგავსი მორფოსინტაქსური შესაბამისობანი განსხვავებული სტრუქტურის მქონე ენებს შორის?

გ) შეიძლება თუ არა დავიყვანოთ იდიომური გამოთქმების გადმოცემა უცხო ენაზე მხოლოდ მათი სემანტიკის გადმოცემაზე მორფოსინტაქსური მხარის გაუთვალისწინებლად?

მთარგმნელობით ლიტერატურაში გამოყოფენ იდიომური გამოთქმების სამ შესაძლო დონეს: ლექსიკურს, სემილექსიკურსა და პოსტლექსიკურს ანუ აღნიშნული ტერმინები შემოღებულია ჯ. ლიონტასის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის შესაბამისად, რომელშიც ლექსიკური დონე (Lexical Level, LL) გაიგივებულია მსგავსი კომპონენტების მქონე იდიომურ გამოთქმებთან, სემილექსიკური (Semi Lexical Level, SLL) – ნაწილობრივ მსგავსი კომპონენტების მქონე იდიომურ გამოთქმებთან, ხოლო პოსტლექსიკური (Post Lexical Level, PLL) – უნი-

კალური სტრუქტურის მქონე იდიომურ გამოთქმებთან [ლიონტასი, 2002:19]. გამოვლენილი კავშირების ასახვა შესაძლებელია, ძირითადად, შემდეგი სქემების სახით:

$$\begin{matrix} & & \nearrow Y(L_2) \\ & & X(L_1) \\ & \searrow & \\ & & \end{matrix}$$

1) $X(L_1) \rightarrow X(L_1...L_4)$; 2) $X(L_1) \rightarrow X(L_2)$; 3) $X(L_1) \rightarrow Y(L_2...L_4)$; 4) $X(L_1) \rightarrow Z(L_2...L_4)$, სადაც L_1 – ასახავს წყარო-ენას (ე.ი. ქართულს), $L_2...L_4$ – სამიზნე ენას (მაგ. ინგლისურს, ახალ ბერძნულს, რუსულს და ა.შ.), – $X(L_1)$ წყარო-ენის ელემენტია, $X(L_2)$, $X(L_3)$ ანდა $X(L_4)$ – სამიზნე ენების ლექსიკური დონის იდიომური ელემენტები, $Y(L_2)$, $Y(L_3)$ ან $Y(L_4)$ – სამიზნე ენების სემილექსიკური დონის იდიომური ელემენტები, ხოლო $Z(L_2)$, $Z(L_3)$ ან $Z(L_4)$ – სამიზნე ენების პოსტლექსიკური დონის იდიომური ელემენტები.

ზემოჩამოთვლილ კითხვებზე პასუხის გასაცემად ყურადღება გავამახვილებთ, პირველ ყოვლისა, იდენტური-ლექსიკური დონის იდიომურ გამოთქმებზე (მაგ. 1, 2), რადგანაც აღნიშნული დონის იდიომების განხილვა შესაძლებელია კროსლინგვისტურ ჭრილში, მაშინ როცა სემილექსიკური და პოსტლექსიკური დონეების იდიომები გამოირჩევა განსაზღვრული სემანტიკური კლიშეებით, რომელთა თარგმნა უცხო ენაზე გართულებულია.

- (1) სულს ამოაძრობს – βγᾶζει τη ψυχὴ κάποιου;
- (2) სული ამოსდის – βγαίνει η ψυχὴ და ა.შ.

მაგრამ მსგავს შემთხვევებშიც ვხვდებით გარკვეულ სხვაობას სხვადასხვა ენის იდიომურ გამოთქმებს შორის, კერძოდ, ესა თუ ის ქართული იდიომი ახალბერძნულზე თარგმნისას განიხილება, როგორც ლექსიკური დონის იდიომი, მაშინ როცა რუსულენოვანი ან ინგლისურენოვანი ეკვივალენტის მიმართ იგი განიხილება, როგორც სემილექსიკური ან პოსტლექსიკური ვარიანტი. ბუნებრივია, თუ ქართული იდიომი რუსულის ან ინგლისურის მიმართ იქნება ლექსიკური დონისა, ახალბერძნულის მიმართ იგი შეიძლება იყოს სემილექსიკური ან პოსტლექსიკური დონისა (მაგ. 3, 4).

- (1) სულით ხორცამდე → ψυχὴ τε καὶ σῶματι (SLL) → ...

(2) ψυχὴ τε καὶ σῶματι → душой и телом (LL) → with body and soul (LL)

მსგავს შემთხვევებში არ იგულისხმება იდიომური გამოთქმის კონცეპტუალურ-სემანტიკური მხარის ცვლილება, საკითხი ეხება უფრო იდიომური გამოთქმების შემადგენელ კომპონენტებსა და მათ სინტაგმატიკას. შესაბამისად, იდიომების კვლევისას ყურადღება გავამახ-

ვილდა შემდეგ საკითხებზე: 1. კონვერსიის სემანტიკურ-სინტაქსური საფუძველი; 2. ირიბი ობიექტის გადაადგილება, ანუ დატივის გადანაცვლება იდიომის ფარგლებში.

მეთოდოლოგია

მთარგმნელობითი თვალსაზრისით იდიომური გამოთქმების გადმოცემა უცხო ენაზე რთულია, მაგრამ შესაძლებელია სხვადასხვა მთარგმნელობითი საშუალებებით, კერძოდ, ნასესხები სიტყვებით, შენაცვლებით მათ შორის – ნეიტრალიზაციით (შენაცვლება უფრო ნეიტრალური სიტყვებით) თუ მხატვრული თარგმანით, გამოტოვებით ან გავრცობით ან პარაფრაზით მსგავსი ან განსხვავებული სიტყვების გამოყენების გზით [ნიუმარკი 1988:84-90]. როგორც აღინიშნა, კვლევისას ყურადღება, ძირითადად, გამახვილდა ლექსიკური და სემილექსიკური დონის იდიომურ გამოთქმებზე ახალ ქართულსა და ახალ ბერძნულში, ამიტომაც შერჩეულ იქნა 40-მდე იდიომი, რომელიც მოიცავდა შემდეგ ერთეულებს: η ψυχή/სული და η καρδιά/გული. შერჩეული იდიომების ქართულენოვანი ნაწილი ეფუძნებოდა შემდეგ ლექსიკონებს: [სახოკია, 1950–1955, ქეგლ-ი ჩიქობავა, 1950-1964, 2008, ონიანი, 1966], ხოლო მათი ბერძნულენოვანი ეკვივალენტები შეირჩა შემდეგი ლექსიკონების: [დემირი-პროდრომიდი, 1983, ბაბინიოტისი, 1998, ვლახოპულოსი, 2007 და შამანიდი, 2009] მიხედვით. სემანტიკური თვალსაზრისით განიხილებოდა იდიომის მხოლოდ ის ვარიანტი, რომელიც აღნიშნულ წყაროებში მითითებული იყო, როგორც ძირითადი.

იმის გათვალისწინებით, რომ ძირითადი მიზანი იყო მორფოსინტაქსური მიმართებების გამოვლენა და მათი დონის განსაზღვრა, გამოვიყენეთ ბერძნული ენის ნაციონალური კორპუსი (HNC), კომპიუტერული პროგრამა AntConc, რომელშიც შევქმენით ქართული ტექსტების კორპუსი და თანამედროვე ბერძნული პოეზიის ანთოლოგიის (2007) ახალბერძნულ-ახალქართული პარალელური ტექსტები. სამწუხაროდ, არ არსებობს ახალბერძნული და ახალქართული ტექსტების პარალელური კორპუსი, შესაბამისად, ზემოხსენებულ საშუალებებზე დაყრდნობით გამოვიყენეთ 249 ტექსტი და, განსაკუთრებით, ზემოხსენებული პარალელური ტექსტები. აღნიშნული მასალის დამუშავება ხორციელდებოდა შემდეგი თანმიმდევრობით: ა) ისეთი წინადადებების მოძიება, რომლებიც შეიცავდა იდიომის როგორც სახელურ (ψυχή/სული და καρδιά/გული), ასევე ზმნურ კომპონენტებს (მაგ. βγάζω/ამოაძრობს, βάζω/ჩაიდებს და ა.შ.); ბ) შეუსაბამო ერთეულე-

ბის ამოშლა; გ) აღწერა, შედარება და შესაძლო მიმართებათა შეფასება ზემოხსენებულ მასალაზე დაყრდნობით.

კვლევის შედეგები და ჰიპოთეზები

1. კონვერსიის სემანტიკურ-სინტაქსური საფუძველი

სპეციალისტების ყურადღება მოქმედებით-ვნებითი გვარის ურთიერთობაზე ზმნური იდიომის ფარგლებში ეფუძნება იმას, თუ რა სახის სინტაქსურ ტრანსფორმაციას განიცდის ესა თუ ის იდიომი. ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამს, მაგრამ ყველაზე ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისით, იდიომური გამოთქმის შემადგენლობაში შესული ზმნური კომპონენტის კონვერსიული ტრანსფორმაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ნაწილობრივი ლექსიკური თავისუფლებით ხასიათდება, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ზმნაზე, როგორც ა) იდიომის ზმნურ კომპონენტზე და ბ) იდიომის საერთო სემანტიკური მნიშვნელობის მატარებელ კომპონენტზე (მაგ. 5, 6).

(5) გულს გაუტეხს – იმედს, რწმენას, ხალისს დაუკარგავს: „მეტადრე ერთმა მკითხავმა ძლიერ გაუტეხა გული სუსანას: „ტყუილია, არ შეირთავსო“ (ე. ნინოშ., „პარტახი“); „მოულოდნელად დავმარცხდით, სასტიკად ვიძლიენით და გული გაუტყდა და გმირულად მებრძოლს“ (ვ. ბარნ., „ტრფობა წამებული“)

(6) καταστρέφω την καρδιά κάποιου – καταστρέφω την ευτυχία κάποιου, γκρεμίζω τις ελπίδες: «Οι αιμοσταγείς παλιάνθρωποι χτυπούς το κέντρο του Βελιγραδίου – οι κακοποιοί **καταστρέφους την καρδιά** της πόλης», τιτλοφορεί η «Βετσέρსიე ნოβოსტი», (X.K. Τεγόπουλος Εκδόσεις, Α.Ε. (ΕΛΕΥΘΕΡΟΤΥΠΙΑ), «Και ο Χίτლერ είχε τους ίδιους στόχους, 58 χρόνια πριν»)

ქართული მაგალითი გვაძლევს შემდეგ ვარიანტებს: გული გაუტეხა (ზმნა სამპირიანია და გარდამავალი) → გული გაუტყდა (ზმნა ორპირიანია და გარდაუვალი), გული გატეხა (ზმნა ორპირიანია და გარდამავალი) → გული გატყდა (ზმნა ერთპირიანი და გარდაუვალი), მაშინ როცა ბერძნულად მისი გადმოცემა შესაძლებელია მხოლოდ ორპირიანი გარდამავალი ზმნის მქონე კონსტრუქციით, როგორიცაა καταστρέφω την καρδιά. მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართულ ენაში, ბერძნულისგან განსხვავებით, გასათვალისწინებელია ზმნის პოლიპერსონალიზმი, რომელიც განაპირობებს კონვერსიით გამოწვეულ სხვაობას აქტივისა და პასივის შორის პირთა რაოდენო-

ბაზე დაყრდნობით (სამპირიანი ზმნური კომპონენტის შემთხვევაში ვიღებთ ორპირიან ვნებითს; ორპირიანი ზმნური კომპონენტის შემთხვევაში კი – ერთპირიან ვნებითს), მაშინ როცა ახალბერძნულში სხვაობა აქტივსა და პასივს შორის ქართულის მსგავსად სუბიექტისა და ობიექტის ადგილების გადანაცვლების შედეგია და ვიღებთ ერთპირიან პასივს ორპირიანი აქტივის მაგივრად.

მიღებული თვალსაზრისით, იდიომური გამოთქმის აქტივ-პასივის ტრანსფორმაცია დამოკიდებულია იდიომის მნიშვნელობის აღმნიშვნელი ზმნის ტრანსფორმაციაზე და, შესაბამისად, (1) პასივიზაციის განსახორციელებლად იდიომს უნდა ჰქონდეს ლექსიკური სტატუსი, რადგანაც პასივი ლექსიკურ-სემანტიკურ მოვლენას წარმოადგენს. (2) იდიომისათვის ამგვარი ლექსიკური სტატუსის მისანიჭებლად, მკვლევარს უნდა შეეძლოს იდიომურობის მიმნიჭებელი ცალკეული ლექსემების გამოვლენა. შესაბამისად, სემანტიკური დაშლადობა და პასივიზაცია ისეთი ლექსიკური პროცესებია, რომლებიც, ჩვენი თვალთახედვით, ერთმანეთს ბუნებრივად უკავშირდება [საგი 1994:508]. მაშასადამე, თუ იდიომის ზმნური კომპონენტი განიცდის კონვერსიას, იდიომიც განიცდის ტრანსფორმაციას, თუ – არა, მაშინ იდიომის შეცვლაც აქტივ-პასივის თვალსაზრისით შეუძლებელია, როგორც ეს ნათლად ჩანს ინგლისური ენის მაგალითზე: to kick the bucket (to die) – *the bucket was kicked, to catch cold (to become ill) – *cold was caught¹ და ა.შ. აღნიშნული თეორიის თანახმად, ზემოხსენებული იდიომების პასივიზაცია შეუძლებელია, რადგანაც მათს აღმნიშვნელ ზმნას ამის უნარი არ გააჩნია, როგორც ეს ჩანს to die ზმნის შემთხვევაში.

ზოგადად, იდიომურობის შესაქმნელად იდიომის შემადგენლობაში იგულისხმება ისეთი ზმნის არსებობა, რომელიც ექვემდებარება აქტივ-პასივის ტრანსფორმაციას. შესაბამისად, იდიომურობა წარმოადგენს სემანტიკური კომპოზიციის ანუ გამთლიანების შედეგს; იდიომი კი გულისხმობს მისი შემადგენელი კომპონენტების გარკვეულ სემანტიკურ დამოკიდებულებას მთელი სინტაგმის მნიშვნელობაზე.

ნებისმიერი ენის აქტივ-პასივის ტრანსფორმაციის განხილვა შესაძლებელია რამდენიმე მიმართულებით: მაგალითად, აქტივ-პასივის მორფოლოგია გულისხმობს სხვადასხვა აფიქსის ჩართვას ზმნის შემადგენლობაში სათანადო მიზნის მისაღწევად, ასევე მნიშვნელოვანია იდიომის განხილვა სინტაქსური თვალსაზრისით, რადგანაც მხოლოდ ამ გზით ხდება შესაძლებელი თვით აქტივ-პასივის სემანტიკური და მორფოლოგიური მნიშვნელობის განსაზღვრა. იდიომის ზმნური

1 კვდება [სიტყვასიტყვით: ყუთს არტყამს], ავად ხდება [სიტყვასიტყვით: სიცივის იჭერს]

კომპონენტის აღნიშნული სემანტიკური ტრანსფორმაციები, როგორც წესი, უკავშირდება მათი გარდამავალი სემანტიკის ცნებას, ე.ი. მათ უნდა ახასიათებდეს მოქმედების გადატანის უნარი; ამ უნარს ზმნა იძენს თავისი ე.წ. მ-როლის (თეცა-როლის) წყალობით, რომელიც გამოიყენება ამა თუ იმ შესიტყვებისთვის დამახასიათებელი ზმნის მიერ განპირობებული სინტაქსური არგუმენტის ასასახავად [ფილმორი 1968; ჰალე 1993].

წარმომქმნელ და, განსაკუთრებით, ტრანსფორმაციულ გრამატიკაში მ-როლი წარმოგვიდგება ფორმალური ერთეულის სახით, რომელიც გამოიყენება არგუმენტის ისეთი სინტაქსური სტრუქტურის წარმოსადგენად, რომელსაც სინტაქსურად ითხოვს ესა თუ ის ზმნა. ქართულ ენაში ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი ზმნების მაგალითზე ნათლად ვლინდება, თუ რამდენ არგუმენტს ითხოვს ესა თუ ის ზმნა და, შესაბამისად, უფრო ნათლად აისახება მათი თემატური რელაციები. მიღებული დეფინიციების თანახმად მ-როლი მიეწერება მხოლოდ ზმნის არგუმენტებს; და, ნათელია, რომ თემატური რელაცია განეკუთვნება მხოლოდ სახელს ან სახელურ გამოთქმას, მაშინ როცა თეცა როლი მიეწერება არგუმენტის ყველა შესაძლო ვარიანტს. ჩვენი ნაშრომის კონტექსტიდან გამომდინარე, მსგავს როლებს განვიხილავთ თემატური იერარქიების ფარგლებში, რომლებიც გამოიყენება კროსლინგვისტურ ასპექტში და მიუთითებს კონკრეტულ პოზიციებზე წინადადებებში.

ინდოევროპული ენების შემთხვევაში ზემოხსენებული კავშირი, ცხადია, შეპირობებულია იმით, თუ რამდენად არის განვითარებული ამა თუ იმ ენის სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობის ამსახველი ბრუნვების კატეგორია (შდრ.: ინგლისური, რომელსაც მხოლოდ ორი ბრუნვა მოეპოვება, თანამედროვე ბერძნულს – ოთხი, რუსულს – ექვსი და ა.შ.), მაგრამ ინდოევროპული ენების მორფოსინტაქსი, ზოგადად, წარმოგვიდგება შემდეგნაირად: სუბიექტი/აგენსი სახელობითი ბრუნვის კუთვნილებაა, ობიექტი/პაციენსი ბრალდებითი ბრუნვისა, ობიექტი/რეციპიენსი – მიცემითი ბრუნვისა. ახალი ბერძნულიც ამ წესს მიჰყვება. ქართულ ენაში, რომელსაც შვიდბრუნვიანი სისტემა ახასიათებს, ვითარება სხვაგვარია: სუბიექტი/აგენსი – სამი ბრუნვის (სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი) კუთვნილებაა, ობიექტი/პაციენსი – ორი ბრუნვის (სახელობითი ან მიცემითი), ობიექტი/რეციპიენსი – ერთი ბრუნვის (მიცემითი).

თვით სახელური (NP) იდიომური გამოთქმაც კი, რომლის შემადგენლობაში თითქოს-და არ უნდა იგულისხმებოდეს ზმნური კომპონენტი, წინადადების შემადგენლობაში შემაჯავალ ზმნურ კომპონენტზე

ასე თუ ისე დამოკიდებულ ერთეულს წარმოადგენს და, შესაბამისად, მისი თეატ-როლის მატარებელ არგუმენტად იქცევა (მაგ, 7, 8).

(7) სული და გული / ψυχή και καρδιά – ყველა, ყველაფერი: “მაგრამ მაინც მადლობა ღმერთს, ამ ფიზიკურმა დამახინჯებამ სული და გული წმინდად შემინახა“ (აკაკი, „ჩემი თავგადასავალი“); “Εδώ μας χρειάζεται άνθρωπος ο οποίος θα δισλέψει και ο οποίος θα δώσει τη ψυχή του, τη καρδιά του σε όλη αυτή τη προσπάθεια“ (Πρακτικά Διαρκών Επιτροπών..., 2003/03/27)²

ქართული მაგალითიდან ჩანს, რომ ზმნაში შემინახა აისახება: აგენსი – მან, პაციენსი – ის, რეციპიენსი – მე; მსგავსი მდგომარეობაა ზმნა ნῦσα-ს შემთხვევაში, მასში აისახება: აგენსი – ის, პაციენსი – მას და რეციპიენსი – მას; უფრო ზუსტად, პაციენსის ფუნქციას სახელური იდიომი სული და გული ასრულებს, რომელიც თეატ-როლის მატარებელ არგუმენტად იქცევა, მაგრამ, ამავდროულად, იგი ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას; ხოლო, თუ ზმნური იდიომური გამოთქმის სახელური კომპონენტი იძენს ზმნაზე დამოკიდებულ არგუმენტის ფუნქციას, იგი კარგავს ან ნაწილობრივ ინარჩუნებს მას. თუ მსგავსი დამოუკიდებლობა ნაწილობრივ მაინც შენარჩუნებულია, იდიომი უფრო მეტად ექვემდებარება ზემოხსენებულ ტრანსფორმაციებს, ვიდრე მაშინ, როცა არგუმენტი მთლიანად დამოკიდებულ ერთეულს წარმოადგენს (მაგ., 8).

(8) გულს უხსნის – გულის ნადებს უმჟღავნებს, გულისთქმას უზიარებს: „მხოლოდ დიდებთან ვერ ახერხებენ ყმაწვილები სიტყვა-პასუხს და გულს არ უხსნიან მათ!..“ (აკაკი, „ჩემი თავგადასავალი“);

შესაბამისად, უხსნის (ის მას მას) → ეხსნება (ის მას). ახალბერძნულად აღნიშნული იდიომი გადმოიცემა ორგვარად: αμοίχα τη καρδιά μου → αμοίχει η καρδιά μου (LL) ან αμοίχα τη ψυχή μου → αμοίχει η ψυχή μου (SLL); პირველი ვარიანტი ლექსიკური დონის იდიომია, ხოლო მეორე ვარიანტი – სემილექსიკური დონისა და ლექსიკურ დონემდე მისი დაყვანის შემთხვევაში ვიღებთ შემდეგ ფორმებს: სულს უხსნის (ის მას მას) → სული ეხსნება (ის მას), მაგრამ ნათელია, რომ ზმნური კომპონენტის ორპირიანი ფორმა *სული ეხსნება მოკლებულია იდიომურობას და მისი სემანტიკა ფაქტობრივ წარმოადგენს ჩვეულებრივი შესიტყვებისთვის დამახასიათებელ მნიშვნელობას (მაგ. 8, 10).

² “გვჭირდება ადამიანი, რომელიც იმუშავებს და რომელიც ყველაფერს მისცემს ამ მცდელობას“ [პარლამენტის შრომები..., 2003/03/27]

(9)	(ა)	αυίγει	τηυ	καρδιά
		αυίγ-3SG	τηυ ACC	καρδιάACC
	(ბ)	გულს	უხსნის	
		გულ-Dat.	OV-ხსნ – 3SG	
(10)	(ა)	αυίγει	η	καρδιά
		αυίγ-3SG	η Nom.	καρδιά Nom.
	(ბ)	გული	ეხსნება	
		გული Nom.	SubV-ხსნ-3SG	

ზემოხსენებული მაგალითებიდან ჩანს, რომ კონვერსიის დროს მიღებული გამოთქმებიდან პირველ შემთხვევაში არგუმენტი ნაწილობრივ ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას და, შესაბამისად, იდიომურობაც არ იკარგება, მაშინ როცა მეორე შემთხვევაში იდიომი იქცევა ჩვეულებრივი, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის მქონე შესიტყვებად. შესაბამისად, იდიომური გამოთქმების დაშლის შესაძლებლობა განიხილება იმაზე დაყრდნობით, თუ რომელ თემატურ როლს იძენს ესა თუ ის არგუმენტი და რას განეკუთვნება ესა თუ ის როლი – შესიტყვების სიტყვასიტყვით თუ იდიომურ მნიშვნელობას.

იდიომები, რომლებიც განიცდიან ასპექტობრივ ცვლას და, საამისოდ მოეპოვებათ სხვადასხვა სრულ – თუ უსრულასპექტიანი ფორმები, იძენენ მსგავს თემატურ როლს, მიუხედავად კონტექსტისა – პირდაპირი/სიტყვასიტყვითი იქნება იგი თუ იდიომური, ანუ, სხვაგვარად: თუ სიტყვასიტყვითი და იდიომური მნიშვნელობის მქონე შესიტყვების თემატური როლები ემთხვევა ერთმანეთს, მსგავსი ერთეულები ნაკლებად „გაქვავებულია“; თუ სიტყვასიტყვითი და იდიომური მნიშვნელობა ერთმანეთს არ ემთხვევა, იდიომური გამოთქმა უფრო „გაქვავებულ“ ერთეულს წარმოადგენს.

თუ შევხებით აქტივისა და პასივის შედარებას, აშკარად უნდა განვასხვაოთ, ერთი მხრივ, ე.წ. მორფოსინტაქსური და წმინდა სინტაქსური პასივი, ხოლო, მეორე მხრივ, ინდოევროპული ენებისათვის, კერძოდ, ახალი ბერძნულისათვის დამახასიათებელი პასივი, პასივის იმ ფორმებისაგან, რომლებიც გვაქვს ქართულში და, მაშასადამე, ვლინდება იდიომურ გამოთქმებშიც. აშკარაა, რომ ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმი და ვალენტობა განაპირობებს აქტივ-პასივის სინტაქსურ ურთიერთობას წინადადებაში, რაც აისახება თვით ზმნა-

შიც პირის ნიშნების ცვლით, ზმნის ინვერსიის დროს რომ ხდება აქტანტების პირიანობის გამობატვისას [მელიქიშვილი 2001:19-32].

აქტივ-პასივის ურთიერთობის შესწავლისას ვლინდება, რომ ორსავე საანალიზო ენაში არსებობს ტრანსფორმაციის ოთხი შესაძლო ვარიანტი: 1. ზმნური იდიომური გამოთქმის შემადგენლობაში არსებობს ობიექტი, რომელსაც შეუძლია თემატური სუბიექტის ფუნქციის შესრულება წინადადების ფარგლებში და ინარჩუნებს შესიტყვების იდიომურ მნიშვნელობას (მაგ. 11); 2. ზმნური იდიომური გამოთქმის გარეთ არსებობს გარკვეული ობიექტი, რომელსაც თემატურ როლებზე დაყრდნობით შეუძლია ქვემდებარის ფუნქციის შესრულება წინადადებაში და კონვერსიისას შესიტყვებას არ აკარგვინებს იდიომურ მნიშვნელობას (მაგ. 12); 3. ზმნური იდიომური გამოთქმის ფარგლებში არსებობს ობიექტი, რომელსაც შეუძლია თემატური სუბიექტის ფუნქციის შესრულება, მაგრამ შესიტყვებას ეკარგება იდიომური მნიშვნელობა და იქმნება სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა (მაგ. 13); 4. თემატური როლების ცვლა უკარგავს კონსტრუქციას ყოველგვარ მნიშვნელობას (მაგ. 14) და, ამავდროულად, ვლინდება, რომ ტრანსფორმაციის ქართულენოვანი და ბერძნულენოვანი ვარიანტების თანხვედრა შემთხვევით ხასიათს ატარებს, კერძოდ, შესაძლებელია ორსავე ენაში კონსტრუქცია ექვემდებარებოდეს ტრანსფორმაციას, შესაძლებელია ერთში ექვემდებარებოდეს, მეორეში კი-არა და შესაძლებელია არც ერთში არ ექვემდებარებოდეს.

- (11) გულში ალს (ცეცხლს) უნთებს (ის მას მას) – გულში ალი (ცეცხლი) ენთება (ის მას), $\delta\iota\sigma\alpha \psi\upsilon\chi\eta - \eta \psi\upsilon\chi\eta \delta\iota\theta\eta\kappa\epsilon^3$;
- (12) გულზე ხეთქავს (ის მას) – გულზე სკდება (ის); აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ შესწავლილ იდიომებში მსგავსი ტიპის ვარიანტები არ გვხვდება, მაგრამ მსგავსი კონსტრუქცია სხვა იდიომებში ნამდვილად ჩანს: $\phi\acute{\epsilon}\rho\sigma\alpha \kappa\acute{\alpha}\pi\iota\omicron\upsilon\sigma \sigma\tau\alpha \sigma\upsilon\gamma\kappa\alpha\lambda\acute{\alpha} \tau\omicron\upsilon/\tau\eta\varsigma - \kappa\acute{\alpha}\tau\iota \eta \kappa\acute{\alpha}\pi\iota\omicron\upsilon\varsigma \mu\epsilon \phi\acute{\epsilon}\rho\sigma\epsilon\iota \sigma\tau\alpha \sigma\upsilon\gamma\kappa\alpha\lambda\acute{\alpha} \mu\omicron\upsilon\sigma^4$;
- (13) გულს (მძიმე) ლოდი ადევს/აწევს (ის მას) – ლოდი დევს (ის); $\tau\rho\alpha\beta\acute{\alpha} \tau\eta\upsilon \kappa\alpha\rho\delta\iota\acute{\alpha} - \mu\epsilon \tau\rho\alpha\beta\acute{\alpha}\epsilon\iota \eta \kappa\alpha\rho\delta\iota\acute{\alpha}^5$ (ამ მაგალითში პასიური კონსტრუქცია იდიომური მნიშვნელობის მატარებელია, მაშინ როცა აქტიური ფორმა ჩვეულებრივ შესიტყვებას წარმოადგენს);

3 სულს ჩაჰბერავს, სულს შთაბერავს [სიტყვასიტყვით: ვაძლევ სულს – სული მიეცა]

4 გონს მოდის ვინმე [სიტყვასიტყვით: მომყავს ვინმე თავის გრძნობებში]

5 გული მიუწევს [სიტყვასიტყვით: მქაჩავს გული]

(14) სულს გაკმედს (ის მას) – *სული გაიკმიდება (ის); αὐτὰρ
 φωνὰ ὄτην κάρην – *αὐτὰρἔται φωνὰ ὄτην κάρην⁶.

მსგავსი ვარიანტების არსებობა ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ არგუმენტს მართავს ესა თუ ის ზმნა და რამდენად შესაძლებელია ამა თუ იმ ზმნის (ძირითადად, ერთპირიანი ზმნის) ტრანსფორმაცია. მორფოლოგიური თვალსაზრისით, ახალი ბერძნული ქართულ ენასთან შედარებით ბრუნების ნაკლებად განვითარებული სისტემით ხასიათდება. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ქართული ენისთვის დამახასიათებელი კონვერსიული ვარიანტები განსხვავდება ევროპული ენებისათვის დამახასიათებელი ვარიანტებისაგან, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, ქართულ ენაში არსებული ერგატიული კონსტრუქციით და, შესაბამისად, საკმაოდ კარგად განვითარებული ბრუნების სისტემით, ხოლო, მეორე მხრივ, ქართული ზმნისთვის დამახასიათებელი ისეთი კატეგორიით, როგორცაა ინვერსია, რომელიც კონვერსიის საპირისპიროდ სინტაქსურ კუთვნილებას არ წარმოადგენს, არამედ უმეტესად ზმნური კომპონენტისთვის დამახასიათებელი ირიბობიექტური და სუბიექტური ნიშნების გაცვლას წარმოადგენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ, ტრანსფორმაციული თვალსაზრისით, როგორც ქართულში, ასევე ახალბერძნულშიც ყველაზე მცირერიცხოვანი სწორედ მეორე და მესამე ჯგუფებია. მეორე ჯგუფის შემთხვევაში იგულისხმება, რომ იდიომის სახელური კომპონენტი მონაწილეობას არ იღებს სუბიექტ-ობიექტის გადაადგილებაში და კავშირი აღნიშნულ სახელურ კომპონენტსა და ზმნურ კომპონენტს შორის პირობითია; მეორე შემთხვევაში კი ობიექტის მიერ სუბიექტის ფუნქციის შესრულება იწვევს თავისუფალი შესიტყვების შექმნას, ოღონდ ამისათვის იდიომის შემადგენლობაში უნდა გვხვდებოდეს ისეთი ერთეული, რომელიც დაიკავებს შესიტყვების თავისუფალი კომპონენტის ადგილს, როგორც ეს ჩანს მეცამეტე მაგალითიდან, მაგრამ თავისი მნიშვნელობის გამო არც გული და არც სული ამ ადგილს არ დაიკავებს.

თუ მსგავსი ტიპის კონსტრუქციებს განვიხილავთ სინტაქსური თვალსაზრისით, ნათელი გახდება, რომ საქმე გვაქვს არა მხოლოდ სუბიექტ-ობიექტის ადგილების გაცვლასთან, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს შიდა (იდიომის სახელური კომპონენტის) ან გარე ობიექტის (წინადადების ერთ-ერთი კომპონენტის) ტრანსფორმაციას ქვემდებარის ფუნქციის მითვისების გზით. ინდოევროპულ ენებში აქტივ-პასივის ტრანსფორმაციებს, როგორც წესი, თან სდევს სხვა პრო-

6 გულში ცეცხლს (აღს) უნთებს [სიტყვასიტყვით: ვანთებ აღს გულში]

ცესებიც, როგორცაა, მაგალითად, მიცემითში დასმული არგუმენტის ე.წ. დატივის გადანაცვლება.

აღნიშნული გადანაცვლება, იდიომურობის თვალსაზრისით, გამოიხატება ირიბი ობიექტის გადანაცვლებაში და წარმოგვიდგება შემდეგი შესაძლო ვარიანტების სახით: ა) იდიომი განიცდის კონვერსიას, მაგრამ უარყოფს დატივის გადანაცვლებას (15); ბ) იდიომი ექვემდებარება კონვერსიასაც და დატივის გადანაცვლებასაც (16); გ) იდიომი უარყოფს კონვერსიას, მაგრამ ექვემდებარება დატივის გადანაცვლებას; დ) იდიომი უარყოფს კონვერსიასაც და დატივის გადანაცვლებასაც (17).

(15) *πουλὰς την ψυχή του κάποιου στο διάβολο – η ψυχή του κάποιου πουλήθηκε στο διάβολο – *πουλὰς του διάβολου την ψυχή;*

(16) *δίνω την ψυχή μου σε κάποιον – η ψυχή δόθηκε σε κάποιον – δίνω του *κάποιου την ψυχή (შდრ. δίνω για άυτρες έναν παρά);*

(17) *βάζω το χέρι στην καρδιά – *το χέρι βάλθηκε στην καρδιά – *βάζω του/της το χέρι στην καρδιά⁷.*

აღსანიშნავია, რომ ვარიანტები, რომლებშიც იდიომი უარყოფს კონვერსიას, მაგრამ ექვემდებარება დატივის გადანაცვლებას, როგორცაა მაგალითად *δίνω του ξύλο σε κάποιον – *ο ξύλος δόθηκε σε κάποιον – δίνω του/της κάποιου του ξύλο⁸*, *ψυχή/სული-სა და καρδιά/გული-ს შემცველ იდიომებში არ შეგვხვედრია, რაც აიხსნება იმით, რომ ბერძნულ ენაში დატივის გადანაცვლება შესაძლებელია კონკრეტულ ზმნებთან, როგორცაა *δίνω, πουλὰς, φέρω, προσφέρω, δαρίζω* და *ა.შ.* აღნიშნული ზმნები კი, ძირითადად, კონვერსიულ ცვლას, ექვემდებარება. ამასთანავე, საკმაოდ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ახალბერძნულს მიცემითი ბრუნვა (დატივი) არ გააჩნია.*

როცა საკითხი ეხება დატივის გადანაცვლებას, ახალბერძნულში არ იგულისხმება მაინცდამაინც მიცემითი ბრუნვის მონაწილეობა კონსტრუქციაში, დატივის გადანაცვლება განასახიერებს ბენეფაქტიური სტრუქტურის მქონე სინტაქსურ კონსტრუქციას, რომელიც ახალბერძნულში გადმოიცემა ორი შესაძლო ვარიანტით: ა) – *για*,

7 *ყველაფერს კადრულობს* [სიტყვასიტყვით: მივყიდე ვისიმე სული ეშმაკს]; *სულს აძლევს ვინმეს* [სიტყვასიტყვით: ვაძლევ სულს რამეში]; *გულზე ხელს ადებს* [სიტყვასიტყვით: ვდებ ხელს გულზე], *უსმენს* [სიტყვასიტყვით: აძლევს ვინმეს ყურს]


8 *სცემს ვინმეს* [ვაძლევ ვინმეს ჯობს]

თე (-თვის) წინდებულების გამოყენებით (ე.წ. პრეპოზიციური დატიური კონსტრუქცია) და ბ) ორობიექტიანი დატიური კონსტრუქციით. ეს უკანასკნელი ფაქტიურად პირველი შემთხვევის შებრუნებულ ვარიანტს წარმოადგენს და გამოიყენება წინდებულების გარეშე. აღნიშნული ვარიანტის საწყისს ზუსტად წინდებულებიანი კონსტრუქცია წარმოადგენს [ჯეკენდოფი 1990; ლარსონი 1990]. დატივის გადანაცვლების შესწავლისას ძირითადი ყურადღება მაინც გამახვილებულია აღნიშნულ ორ კონსტრუქციას შორის არსებულ სემანტიკურ მსგავსებაზე, რომელიც ლექსიკურ-სემანტიკური ან სინტაქსური ბუნებისაა.


ზმნურ იდიომურ გამოთქმაში მსგავსი ტიპის გადანაცვლება, ბუნებრივია, დამოკიდებულია ზმნურ კომპონენტზე და, ამის შესახებ, არსებობს ორი მოსაზრება: ა) ზმნური კომპონენტი განიხილება, როგორც ლექსიკური ერთეული, რომელიც განსაზღვრავს თავისი არგუმენტების პროეცირებას, და, ბ) ზმნური კომპონენტი განიხილება, როგორც ლექსიკური ერთეული, რომელიც აღნიშნავს მხოლოდ მის ძირითად მნიშვნელობას, რომელიც, თავის მხრივ, სიტუაციაზე დამოკიდებული სინტაქსური კონსტრუქციით განსაზღვრავს თავის არგუმენტებს. პირველი მოსაზრების მიხედვით, ზმნა შეიძლება იყოს პოლისემიური, მეორე მოსაზრების თანახმად კი, ზმნის პოლისემიურობა გამორიცხებულია.

ეს მოსაზრებები, ჩანს, ემყარება შემდეგ რეალობას, კერძოდ, ბერძნული ენა განასხვავებს ორ კონსტრუქციას, რომლის ფარგლებშიც იგულისხმება: 1. წინდებულის მონაწილეობა; 2. ორი წევრის (ობიექტის) მონაწილეობა უწინდებულოდ, მათ შორის, პირველი წევრი ასახავს მიმღებს, ანუ პირველ (ოღონდ არაპირდაპირ) ობიექტს და ამიტომ მისი ადგილიც წინადადებაში სინტაქსურად განსაზღვრულია: იგი წინ უსწრებს მეორე ობიექტს. ამასთანავე, პირველ შემთხვევაში კონსტრუქციაში მონაწილეობას ბრალდებითი ბრუნვა იღებს, ე.ი. წინდებულებიანი ობიექტი ბრალდებით ბრუნვაში დგას, ხოლო მეორე შემთხვევაში პირველი მიმღების ფუნქციას ასრულებს ნათესაობით ბრუნვაში მდგომი სახელი, და სწორედ აღნიშნული კონსტრუქცია უფრო შეესაბამება ბენეფაქტიურ სტრუქტურას (მაგ.18, 19)

(18)



(19)



vP და VP კატეგორიები პირველად გვხვდება ნ. ჩომსკისთან (2000), რომელსაც შემოღებული აქვს ფაზის მნიშვნელობის ცნება, რომელსაც განიხილავდა, როგორც v ან C კატეგორიით განსაზღვრული დერივაციის დამოუკიდებელ ქვედანაყოფს. ნებისმიერ მარტივ წინადადებას ორი ფაზა აქვს: CP და vP. და, შესაბამისად, ერთმანეთისგან განსხვავდება პასიური და არააკუზატიური ზმნები, ერთი მხრივ, და გარდამავალი და არაერგატიული ზმნები, მეორე მხრივ, რადგანაც პირველი გულისხმობს VP-ს არსებობას, რომელიც ექვემდებარება vP-ს, მაშინ როცა მეორე გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ VP-ს არსებობას. შესაბამისად, არაერგატიული ზმნური შესიტყვება ქმნის ფაზას, მაშინ როცა პასიურ ან არააკუზატიურ ზმნურ შესიტყვებას ამისი უნარი არ გააჩნია.

პირველი მაგალითი ასახავს დატივის მიზანს და ამ შემთხვევაში სინტაქსურად დატივის ფუნქციით დატივით სტრუქტურა შემდეგი სახით წარმოგვიდგება: მიზანი (Goal) ექვემდებარება ზმნით გამოხატულ მოვლენას, რომელიც, თავის მხრივ, ახდენს ზეგავლენას ამა თუ იმ საგანზე (Theme), მეორე ვარიანტი კი ასახავს ბრალდებითის ფუნქციით დატივით სტრუქტურას და წარმოგვიდგება მიზნის სახით, რომელსაც უკვე ეგულება ესა თუ ის საგანი [ჰალე 1993]. შესაბამისად, ბერძნული ენისთვის დამახასიათებელი სტრუქტურა უფრო გარდამავალი ბუნებისაა, რადგანაც წინდებულისანი წყობის დროს χ_{IA} წინდებულის გამოყენებისას მას განიხილავენ დატივიან კონსტრუქციაში, ხოლო σ_E წინდებულის გამოყენებისას – ბრალდებითიან კონსტრუქციაში [ალექსიადუ 2001].

2. მიცემითბრუნვიანი ირიბი ობიექტის გადანაცვლება იდიომური გამოთქმის ფარგლებში


ზმნური იდიომი, როგორც წესი, შედგება სახელური და ზმნური კომპონენტებისაგან. ზმნური კომპონენტის ტრანსფორმაციები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: ერთ-ერთია, როგორც ალინიშნა, კონვერსიული ცვლა, რომელიც დამოკიდებულია სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ადგილების გაცვლაზე, ხოლო მეორე – დატივის გადანაცვლება, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია მიცემითბრუნვიანი ირიბი ობიექტის გადანაცვლების შესაძლებლობაზე ქართულში და ბენეფაქტიური კონსტრუქციის ტრანსფორმაციაზე მიცემითი ბრუნვის არმქონე ენებში.

ქართულ ენაში მსგავსი შემთხვევები დამახასიათებელია ორპირიანი ან სამპირიანი ზმნური კომპონენტის მქონე იდიომებისათვის, როცა იდიომის შემადგენლობაში ან მის გარეთ გვხვდება მიცემითბ-


რუნვიანი ირიბი ობიექტი. შდრ. გულს აუტირებს (ის მას მას), სულს ამოართმევს (ის მას მას), გულს აუკვნესებს (ის მას მას) და ა.შ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული ენა ნაწილობრივ ერგატიული ტიპისაა და მსგავსი ტრანსფორმაცია, რომელიც ბუნებრივია ბენეფაქტიური სტრუქტურის მქონე ენებისათვის, ქართულ ენაში განსხვავებულად წარმოგვიდგება: წინადადებასა თუ შესიტყვებაში მიცემით ბრუნვაში დგება: ა) სუბიექტი, ბ) პირდაპირი ობიექტი და გ) ირიბი ობიექტი. თუ ზმნური იდიომური გამოთქმის შემადგენლობაში გვხვდება მიცემითბრუნვიანი ირიბი ობიექტი, მისი დატიური ტრანსფორმაცია გულისხმობს ან, უბრალოდ, ადგილების გაცვლას (შდრ. ის გადაუგდებს ანკესს მას, ის მას გადაუგდებს ანკესს, ის გადაუგდებს მას ანკესს და ა.შ.), ანდა, ფლექსიური ტრანსფორმაციის შემთხვევაში – თანდებულიან ერთეულად გადაქცევას (შდრ. ის გულს გადაუბრუნებს მას, მან გული გადაუბრუნა მას, მას გული გადაუბრუნებია მისთვის და ა.შ.). ამ მხრივ, ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ მისი გარდაქმნა წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია დროისა და მაკავშირებლების განსაზღვრის ზმნისეულ უნარზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულსა და ახალბერძნულში დადასტურებული იდიომების წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგი სქემების სახით (მაგ. 20) და (მაგ., 21) (შდრ. $\delta\acute{\iota}\varsigma\alpha\ \tau\eta\upsilon\ \psi\upsilon\chi\acute{\eta}\ \mu\omicron\upsilon\varsigma\ \sigma\epsilon\ \kappa\acute{\alpha}\pi\omicron\iota\varsigma\upsilon\varsigma\ -\ \eta\ \psi\upsilon\chi\acute{\eta}\ \delta\acute{\iota}\theta\eta\kappa\epsilon\ \sigma\epsilon\ \kappa\acute{\alpha}\pi\omicron\iota\varsigma\upsilon\varsigma$ (კონვ.) – $\delta\acute{\iota}\varsigma\alpha\ \tau\omicron\upsilon\varsigma\ *κ\acute{\alpha}\pi\omicron\iota\varsigma\upsilon\varsigma\ \tau\eta\upsilon\ \psi\upsilon\chi\acute{\eta}$ (დატ.); სულს აძლევს ვინმეს – სული იძლევა – აძლევს სულს ვინმეს ან სხვანაირად სულს მისცემს ვინმეს – სული მიეცემა – სული მიუცია ვინმესთვის). მორფოსინტაქსური კუთხით სხვაობას ის წარმოადგენს, რომ ქართულ ენას თანდებულიანი ვარიანტები ახასიათებს, ხოლო ახალბერძნულს წინდებულიანი.

(20)








(21)



შესაბამისად, ყურადღება უნდა გამახვილდეს მხოლოდ ირიბი ობიექტის გადანაცვლებაზე (და არა იმდენად იმაზე, რომ ირიბი ობიექტის დატიური ფორმა ყოველთვის ზმნითაა შეპირობებული). ბუნებრივია, ზემოხსენებული მაგალითების განხილვა მიზანშეწონი-

ლი იქნებოდა იმ სქემების ფარგლებში, რომლებიც მისაღები აღმოჩნდებოდა მიცემითი ბრუნვის არმქონე (მაგ., 22) და მიცემითი ბრუნვის მქონე (მაგ., 23) ენებისათვის.



(20-23) მაგალითებში მოყვანილი სქემები აშკარად განსხვავდება ერთმანეთისგან: პირველ შემთხვევაში (მაგ., 20, 21) პირდაპირი და ირიბი ობიექტი უშუალოდ ექვემდებარება ზმნური კონსტრუქციის წესებს და არც ერთს არ ენიჭება უპირატესობა; სხვა შემთხვევებში კი

(მაგ. 22, 23) ორობიექტიანი კონსტრუქციის გამონატვა გულისხმობს არა იმდენად წინდებულიანი ან თანდებულიანი ირიბი ობიექტის არსებობას, რამდენადაც ცარიელი ზმნური სლოტის (ზმნის სავარაუდო ადგილმდებარეობის) შესაძლებლობას – როგორც ირიბ, ასევე პირდაპირ ობიექტთან დატივის გადანაცვლებისას.

ამასთანავე, თუ დაწვრილებით გავეცნობით კ. ლარსონის მოსაზრებას [ლარსონი 1990: 589-632], ვიპოვით პარალელს კონვერსიასა და დატივის გადანაცვლებას შორის ევროპულ ენებში. ლარსონის მიხედვით, პასივი აშორებს ობიექტის ბრუნვას, აიძულებს მას სუბიექტის ადგილის დაკავებას და გარე არგუმენტი დაჰყავს შესიტყვებამდე, რომლის შემადგენელ ნაწილს ინგლისურში by, ხოლო ახალბერძნულში αιπ წარმოადგენს, ქართულში კი იგი დაიყვანება ერთ-ერთი ობიექტის გაქრობაზე. დატივის გადანაცვლებისას, ლარსონის აზრით, კონსტრუქციას იგივე ბედი ეწევა, კერძოდ, ზმნური ნაწილის (VP) ზედა არგუმენტი გადადის დაქვემდებარებულ პოზიციაში, ხოლო ქვედა სახელური ნაწილისგან დატიური კონსტრუქციისათვის დამახასიათებელი ნიშნების (წინდებულების for, to და, ახალბერძნულში, შესაბამისად, για, σε) ჩამოშორებით აიძულებს მას გადაადგილდეს და წინადადებაში სხვა ადგილი დაიკავოს, ქართულში მსგავსი ტიპის კონსტრუქციებში, ჩვეულებრივ, გამოიყენება თანდებულიანი ან უთანდებულო მიცემითი. ოღონდ არსებითი სხვაობა კონვერსიასა და დატივის გადანაცვლებას შორის ისაა, რომ კონვერსია წინადადების (IP) დონის ტრანსფორმაციას წარმოადგენს, მაშინ როცა დატივის გადანაცვლება წინადადების მხოლოდ ზმნური დონის (VP) ტრანსფორმაციად გვევლინება.

კ. ლარსონს ნაწილობრივ ემხრობა ე. ანაღნოსტოპულუც, რომელიც თავის ნაშრომებში განასხვავებს ორი ტიპის ბენეფაქტიურ კონსტრუქციებს, როგორცაა წინდებულიანი და უწინდებულო კონსტრუქციები. ორობიექტიანი ზმნებისათვის დამახასიათებელ დატივის გადანაცვლებას ახალბერძნულში იგი განიხილავს ორგვარად: ზმნური კომპონენტის მიზანს (GOAL) წინდებულიან ფრაზად (PP) ან გენიტივში მდგომ მსაზღვრელ ფრაზად (DP). შესაბამისად, მსგავსი ტიპის ტრანსფორმაციისას რეალურად ვლინდება მიზნის აღმნიშვნელი წევრის გადაადგილება წინადადებაში (შდრ. 20, 21).

მაგრამ ქართული ენისათვის დამახასიათებელი კონსტრუქციების განხილვა შესაძლებელია მხოლოდ ფლექსიური მორფოლოგიისა და ზმნის სემანტიკურ მნიშვნელობას შორის არსებული მაკავშირებელი პარამეტრების გათვალისწინებით. ნ. ჩომსკის მიერ შემოთავაზებული მინიმალისტური პროგრამის ფარგლებში, ვხედავთ, რომ ძლიერი

მორფოლოგია განაპირობებს მორფოლოგიური ფლექსიის მქონე ელემენტის გადაადგილებას იმ თავში, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს სხვა ერთეულთა ფლექსიურ ცვლას.

ამის გათვალისწინებით, ყურადღება დაეთმო ქართული ზმნური იდიომური გამოთქმების ტრანსფორმაციას მისი უცხო ენაზე გადმოცემისას, კერძოდ, იმას თუ რამდენად ხშირად ხდება მისი ჩანაცვლება ბენეფაქტიური სტრუქტურის მქონე იდიომით ახალბერძნულში, თუ ქართული იდიომის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ისეთი ერთეული, რომელიც გამონათავს მიცემითბრუნვიან აგენსს (მაგ., 24, 25).

(24) მიჰყიდა სული ეშმაკს – ყველაფერი იკადრა

(25) πούλησε τη ψυχή του στο διάβολο

მი-ჰ-ყიდ-ა	სულ-ი	ეშმაკ-ს
PV-O3-ყიდ-AOR.S3SG	სულ -NOM	ეშმაკ -DAT
ორობიექტიანი		
კონსტრუქცია: V	NOM _{THEME}	DAT _{GOAL}
Πούλη-ησ-ε	τη ψυχή	του στο
Πούλη-AOR.3SG	τη ψυχή	του σε- το
	Acc -Acc	-3PP Acc -Acc
σε-PP	ACC _{THEME}	se
კონსტრუქცია:		-PP _{GOAL}
V		

პირველი პირის ნაცვალსახელის გამოყენება ბერძნულენოვან მაგალითში განპირობებულია იმით, რომ ბრალდებითბრუნვიანი სახელი მომდევნოდ, როგორც წესი, ითხოვს ნაცვალსახელს, რომელიც კონტექსტზე დაყრდნობით ავლენს კონსტრუქციის მიკუთვნებას პირველი ან მეორე, ანდა მესამე პირისადმი როგორც მხოლოდითში, ასევე მრავლობითშიც.

მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ლექსიკურ-სემანტიკური დონის იდიომური გამოთქმების შემთხვევაში, როცა ახალი ბერძნული იგუებს ბენეფაქტივის პრეპოზიციურ სტრუქტურას, ქართულში პირველი სერის ზმნებთან გაბატონებულია ორობიექტიანი მიცემითბრუნვიანი კონსტრუქციები. ბუნებრივია, რომ, მორფოსინტაქსური თვალსაზრისით, ერთეულები ერთმანეთისაგან განსხვავდება: ა) ზმნის პირიანობის თვალსაზრისით, ქართული იდიომის ზმნური კომპონენტი სამპირიანია და მასში წინასწარ ნავულისხმებია ობიექტის ცნება, ხოლო როცა მისი

შესატყვისი ახალბერძნულში ორპირიანია და მსგავს კონსტრუქციებში ობიექტი უფრო სინტაქსურ, ვიდრე მორფოსინტაქსურ ერთეულს წარმოადგენს; ბ) ქართულ ზმნურ კომპონენტს ერწყმის ზმნისწინი, რომელსაც განსაზღვრული გრამატიკული ფუნქცია აქვს, მაშინ როცა ბერძნულში ზმნისწინს უფრო სემანტიკური დატვირთვა ენიჭება.

შესაბამისად, იბადება კითხვა: რამდენად დასაშვებია ზემოხსენებული ტრანსფორმაციები (კონვერსია და დატივის გადანაცვლება) ქართული იდიომის უცხო ენაზე გადმოცემისას და პირუკუ, ანდა, ხომ არ იქნებოდა უფრო მარტივი და ამიტომ მიზანშეწონილი, ბერძნულის შემთხვევაში რომ გამოგვეყენებინა გრამატიკული წყობითა და შესაძლო ვარიანტებით შეპირობებული ახალბერძნული ორობიექტიანი კონსტრუქცია დატივის გადანაცვლების შემთხვევაში, როგორც უნდა ყოფილიყო *ΠΟΥΛΩ ΤΟΥ ΔΙΪΒΟΛΟΥ ΤΗΣ ΨΥΧΗΣ და ორივე ენისათვის დამახასიათებელი აქტივ-პასივის ნიშნები, როგორცაა ახალბერძნული – ομαί (δεν φαίνεται ψυχή, πιάνεται η ψυχή μου⁹ და ა.შ.) და ქართული – პრეფიქსალური ი – და ე-?

მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრულ ზმნებთან დატივის გადანაცვლება დასაშვებია ჩვეულებრივ ბერძნულენოვან შესიტყვებებში, მისი გამოყენება იდიომის უცხო ენაზე გადმოცემისას გართულებულია არა იმდენად სტრუქტურული თავისებურების გამო, არამედ იდიომური კომპონენტების სემანტიკური მნიშვნელობის გამო. თუმცა სხვა სემანტიკის მქონე იდიომებშიც შესაძლებელი იყო ერთი კონსტრუქციის მეორით ჩანაცვლება, კერძოდ, წინდებულიანი ან ორობიექტიანი ბენეფაქტიური სტრუქტურა, როგორც წესი, ენაცვლება მიცემითბრუნვიანი ირიბი ობიექტის მქონე კონსტრუქციებს. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს ტრანსფორმაციებს ძირითადად, სამ – და მეტკომპონენტიანი იდიომები ექვემდებარება, რომელთა სემანტიკური მნიშვნელობის ნაწილს მოქმედების მიმღები ასრულებს.

იდიომების კონვერსიული ტრანსფორმაციის თავისებურება ახალბერძნულსა და ქართულში ნაწილობრივ ჩამოჰგავს ერთმანეთს. ეს, ბუნებრივიცააა, რადგან ქართულში ვნებითის წარმოების სხვადასხვა სქემებს, მათ შორის, აფიქსიან და, განსაკუთრებით, ფუძისეულ პასივებს უკავშირებენ ბერძნულს [ბეიკერი 1994:31-32]. აღნიშნულ მოდელებს შორის სხვაობა კი უკავშირდება ზმნური იდიომების გარდამავალ და გარდაუვალ ვარიანტებს, რადგანაც, თავისი ბუნებით, აფიქსიანი ვნებითები გამოიყენება გარდამავალ ზმნებთან, მაშინ როცა უაფიქსონი – გარდაუვალებთან.

9 სულის ჭაჭანება არ არის [სიტყვასიტყვით: სული არ ჩანს]; გული გაუწვრილდა [სიტყვასიტყვით: მეჭირება სული]

დასკვნები

სხვა იდიომებთან შედარებით ლექსიკური და სემილექსიკური დონის ერთეულები უფრო მეტ მსგავსებას ავლენს როგორც მთლიანი კონსტრუქციის, ასევე ცალკეული კომპონენტების სემანტიკური მნიშვნელობის მხრივ. შესწავლილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

თუ რომელიმე ახალბერძნული იდიომი ექვემდებარება განსაზღვრულ მორფოსინტაქსურ ცვლილებას, იგი თავს იჩენს ახალბერძნულიდან ქართულად და პირუკუ თარგმნის შემთხვევაში. მაგრამ ხშირად, მსგავსი შენაცვლება ქართულენოვანი იდიომის უცხო ენაზე გადმოცემისას გართულებულია. ეს სირთულე უკავშირდება როგორც იდიომის ცალკეული კომპონენტების სემანტიკურ მნიშვნელობას, ასევე მის გრამატიკულ სტრუქტურას.

თუ კომპონენტების სემანტიკური მნიშვნელობა შეესაბამება აღნიშნული ტიპის ტრანსფორმაციებს (მაგ. ზმნური ან სახელური იდიომის შემთხვევაში გამოყენებულია ისეთი ერთეულები, რომლებიც გამოიყენება კონვერსიის ან დატივის გადანაცვლების დროს) შესაძლებელი ხდება ერთი კონსტრუქციის ჩანაცვლება მეორით და განსაზღვრული დონის მორფოსინტაქსური მიმართებების გამოვლენა, კერძოდ: ა) წინდებულიანი ან ორობიექტიანი ბენეფაქტიური სტრუქტურა, როგორც წესი, ენაცვლება მიცემითბრუნვიან ირიბობიექტიან სტრუქტურას, და ბ) კონვერსიული ტრანსფორმაცია კი აისახება როგორც მორფოლოგიურად, ასევე სინტაქსურად და, შესაბამისად, მორფოლოგიურ დონეზე ხდება იდიომის ზმნური კომპონენტების ვნებითი გვარის ფორმების გამოყენება, რასაც ახალბერძნულში ემსახურება სუფიქსი – ομαι, ხოლო ქართულში აფიქსები ი- და ე-, -დ ან უნიშნო ვნებითის ფუძე, ხოლო სინტაქსურ დონეზე კონვერსიული ტრანსფორმაციის საფუძველს ზმნური კომპონენტის გარდამავლობა წარმოადგენს.

სხვადასხვა მორფოსინტაქსური ტრანსფორმაცია ართულებს იდიომის უცხო ენაზე გადმოცემის შესაძლებლობას. ამიტომაც გასათვალისწინებელია იდიომის კომპონენტების მნიშვნელობაც და სტრუქტურაც ერთად, – განსაკუთრებით, როცა საკითხი ეხება ისეთ ტრანსფორმაციას, როგორიცაა ახალი ბერძნული ენისათვის დამახასიათებელი დატივის გადანაცვლება.

გადანაცვლების პარალელური ვარიანტების განხილვა შესაძლებელია როგორც სხვადასხვა დონის მსგავსი ფუნქციური თავისებურება, რომლის საფუძველს ზმნის გარდამავლობა წარმოადგენს. შესაბამისად, ახალი ბერძნულისთვის დამახასიათებელი ბენეფაქტივისა და

ქართული მიცემითბრუნვიანი ირიბი ობიექტის ქცევას მსგავსი სინტაქსური საფუძველი აქვს.

ქართული იდიომის უცხო ენაზე თარგმნა, როგორც წესი, განპირობებულია მისი მორფოსინტაქსური თავისებურებითა და სამიზნენის გრამატიკული სტრუქტურით. აღსანიშნავია, რომ კროს-ლინგვისტური მსგავსება ისევე როგორც განსხვავება არ შეიძლება ყველა სახის იდიომს მივუსადაგოთ, განსაკუთრებით, როცა საკითხი იდიომური გამოთქმების პოსტლექსიკურ დონეს ეხება.

დამოწმებანი

- ალექსიადუ 2007:** Alexiadou, A., *Studies in the Morpho-Syntax of Greek*. Cambridge Scholars Publishing.
- ალექსიადუ 2000:** Alexiadou, A. & E. Anagnostopoulou, Greek syntax: a principles and parameters perspective. *Journal of Greek Linguistics* 1, გვ. 223-263.
- ალექსიადუ 2001:** Alexiadou, A., & E. Anagnostopoulou, The subject-in-situ generalization and the role of case in driving computations. In: *Linguistic Inquiry* 32, გვ. 193-231
- ანაღნოსტოპულუ 2003:** Anagnostopoulou, E., *The Syntax of Ditransitives. Evidence from Clitics*. Mouton de Gruyter.
- აფრიდონიძე 1983:** Apridonidze, Sh., *Idiom and Idiomacity*. *Linguistic Studies*, Tbilisi, გვ. 64-75.
- ბეიკერი 1994:** Bakker, E., 1994. Voice, aspect, and Aktionsart: middle and passive in ancient Greek. *Voice: form and function*, Amsterdam: J. Benjamins, გვ. 23-47.
- ვაინრაიხი 1969:** Weinreich, U., *Problems in the analysis of idioms*. J. Puhvel (ed.) *Substance and Structure of Language*. Berkeley, CA: University of California Press, გვ. 23-81.
- ვინოგრადოვი 1977:** Vinogradov, V. V., *On General Types of Phraseological Units in Russian Language*. *Selected Works. Lexicology and Lexicography*, M., გვ. 140-161.
- თაყაიშვილი 1961:** Takaiashvili, A., *Issues on Georgian Phraseology*. Tbilisi: GNAS (ქართულად).
- კაცი 1963:** Katz, J. J. & P. Postal, The semantic interpretation of idioms and sentences containing them. *MIT Research Laboratory of Electronic Quarterly Progress Report* 70, გვ. 275-282.

- ლარსონი 1990:** Larson, K. R., Double Objects Revisited: Reply to Jackendoff. In: Linguistic Inquiry, ტ. 21, № 4, გვ. 589-632
- ლიონტასი 2002:** Liontas, J., Transactional Idiom Analysis: Theory and Practice. Journal of Language and Linguistics 1. University of Buckingham (UK) Press, გვ. 17-52.
- მაკაი 1972:** Makkai, A., Idiom structure in English. The Hague: Mouton.
- ნიუმარკი 1988:** Newmark, P. A Textbook of Translation. New York: Prentice Hall
- ნიუნბერგი 1994:** Nunberg, G., Sag, I. A. & T. Wasow, Idioms. Language 70, 491-538.
- პოლარდი 1994:** Pollard, C. F., Sag, I.A., Head-Driven Phrase Structure Grammar. Chicago: University of Chicago Press.
- რიმანი 2001:** Reihemann, S. Z., A constructional approach to idioms and word formation. Dissertation submitted to the Department of Linguistics and the Committee on Graduate Studies of Stanford University.
- სიმეონიდის 2000:** Simeonidis, X., Introduction to Greek Phraseology. Thessaloniki: Kodikas (ბერძნულად).
- ფილიპაკი-ვარბურტონი 1992:** Filippaki-Warburton, I., Introduction to Theoretical Linguistics. Athens: Nefeli (ბერძნულად).
- ფილმორი 1968:** Fillmore, Charles J., The Case for Case. Universals in Linguistic Theory, New York: Holt, Rinehart and Winston.
- ფრეიზერი 1970:** Fraser, B. Idioms within a transformational Grammar. Foundation of Language 6, გვ. 22-42.
- ჯეკენდოფი 1990:** Jackendoff, R., On Larson's Treatment of the Double Object. Linguistic Inquiry, ტ. 21, №3, გვ. 427-456;
- ჩომსკი 1995:** Chomsky, N., 1995, The Minimalist Program. Cambridge, MA: MIT Press.
- ჰალე 1993:** Hale, K., & S. J., Keyser, On argument structure and lexical expression of syntactic relations. In the View from Building 20, K. Hale and S. J. Keyser (eds), Cambridge, MA: MIT Press, გვ. 53-109
- ჰოკეტი 1956:** Hockett, C. F., Idiom formation. In the collection For R. Jakobson: Essays on the Occasion of His Sixtieth Birthday, The Hague: Mouton, გვ. 222-229.

ლექსიკოგრაფიული წყაროები

- აბულაშვილი 2007:** Abulashvili, M. & Shamanidi S., The Anthology of Modern Greek Poetry. Tbilisi, Logos;
- ბაბინიოტისი 1998:** Babiniotis, G., The Dictionary of Modern Greek, Athens;
- დემირი-პროდრომიდუ 1983:** Demiri-Prodromidou, E., Nikolaidou-Nestora, N., Tryfona-Antonopoulou, N., The language of the idioms and of the expressions. Thessaloniki: University Studio Press;
- ვლახოპულოსი 2007:** Vlakhopoulos, S., The Dictionary of Modern Greek Idioms. Klidarismos;
- სტავროპულოსი 1998:** Stavropoulos, D.N., Hornby, A.S., Oxford English-Greek Learner's Dictionary, Oxford University Press;
- შამანიდი 2009:** Shamanidi, S., Modern Greek-Georgian Dictionary. Tbilisi;
- ჩიქობავა 1950-1964, 2088:** Chikobava, Arn., The Explanatory Dictionary of Georgian Language (I-VIII), Tbilisi.

Dative Alternation of Idioms (Modern Greek VS Modern Georgian)

Irina Lobzhanidze

Introduction

The best-known syntactic theories treated within transformational (Katz and Postal, 1963, Weinrich, 1969 and Fraser, 1970), stratificational (Hockett, 1956, Makkai, 1972) or head-driven phrase structure (Sag, 1994, Reihemann, 2001) etc. grammars reveal the syntactic peculiarities of idioms, especially peculiarities in their transformation (including transitivity, nominalization, etc.). Peculiarities of this kind affect the translation of idioms from one language into another, or from a foreign language into one's own, in our case, from Modern Greek (L1) into Modern Georgian (L2) and vice versa. Taking into account that the analysis of idioms including a Verb Phrase (VP) or a Noun Phrase (NP) can be considered as the best area for investigating the relationship between morphology, syntax and semantics, and considering that techniques used in detecting, decoding and understanding idioms include the following possible levels of idioms: 1. Lexical Level (LL) providing matches between Modern Georgian and Modern Greek idioms; 2. Semi-Lexical Level (SLL) providing partial matches between Modern Georgian and Modern Greek idioms; and 3. Post-Lexical Level (PLL) not providing matches between idioms in these languages (Liontas, 2002), I have decided to provide a more careful corpus-based analysis of idioms with constituents providing matches between L1 and L2 (the so-called Lexical Level (LL) idioms), e.g.

1. *βγάζει τη ψυχή κάποιου* – სულს ამოაძრობს

vgazi tin psikhi kapiu – suls amoadzrobs

(throttles / harasses smb., wear smb. out, will almost kill smb.),

2. *βγαίνει η ψυχή* – სული ამოსდის

vgeni i psikhi – suli amosdis

(die, smb. is on the point of death) etc.,

and to answer several questions regarding cross-linguistic matches, especially: 1. If any Modern Greek LL idiom is subject to syntactic transformation (including, passivization, dative shift, etc.), can it affect a similar transforma-

tion of an idiom in L2 in any kind of translation? 2. Can we highlight the degree of syntactic correlation between LL idioms to determine to what extent such kind of correlation is fixed in languages with different morphosyntactic structures? And 3. Can we confine the translation of idioms to their meaning without paying attention to their morphosyntactic behaviour?

The main purpose of this paper is to answer the above questions and to reveal morphosyntactic similarities (if any) via a study of dative shift in relation to the active-passive constructions in L1 and L2.

This paper is structured as follows: Section 1 includes background and research questions; Section 2 presents a methodological approach and briefly summarizes its theoretical prerequisites; Section 3 includes the findings and hypothesis, which refer to a morphosyntactic correlative description of idioms in L1 and L2; and Section 4 presents the answers to the research questions and conclusions.

Keywords: *idioms, dative shift, conversion, passivization*

Methods

The translation of idioms from one language into another can be implemented by different techniques (transposition, modulation, equivalence, adaptation, etc.) applicable to a particular case. As mentioned above, Lexical Level idioms providing a match between the whole meaning of an idiom and its constituents in L1 and L2 were investigated. So, I have used literal translations of 39 idioms containing the nouns *psikhi / suli* (soul) and *kardia / guli* (heart). The Greek idioms used for analysis were selected from Demiri-Prodromidou (1983), Vlachopoulos (2007), Triantafillidis (1999), and Babiniotis (1998); their literal translation was provided using Siamanidou (2009), and Chikobava (1950-1964, 2008). For each idiom I have studied only one of the possible main variants listed in the above sources. Taking into account that the aim of this study was to highlight and examine the degree of syntactic correlation, I have used the Hellenic National Corpus (HNC), a corpus of written Modern Greek texts, the AntConc program, a corpus of written Georgian texts, and the available parallel texts of the Anthology of Modern Greek Literature (2003). Unfortunately, there is no bilingual corpus for Modern Greek and Modern Georgian texts, but the two corpora mentioned above and, especially the parallel texts, can be used to study LL idioms. I have used 249 texts from the HNC and 249 texts from the Georgian corpus. The stages were as follows: (a) to search for all sentences containing a noun: this involved searching for *ψυχή / სული*- *psikhi / suli* (soul) and *καρδιά / გული* - *kardia / guli* (heart) plus verbs (e.g., *βγάλω / ამოაძრობს* (to *vgazo / amovadzrob* (take out), *βάλω / ჩაიდებს* (to *vazo / chavideb* (put in) etc.) with a maximum distance of 4 words; (b) to delete all irrelevant matches; and (c) to describe, compare and assess possible correlations between idioms based on the material obtained.

Findings and Hypothesis

Generally, idioms provide correct morphosyntactic correlations, which may be transformed using transitivity, dative (in L1 Acc. – Gen. construction) shift, etc. Our study looks at the verb phrase idioms which can undergo one or more of these transformations. The verb phrase idioms consist of noun and verb components. Their transformation can be subdivided into two types, namely: (1) dative (in L1 Acc. – Gen. construction) shift; and (2) transitivity.

(1) Considering dative (Acc. – Gen. construction) shift and comparing possible variants in L1 and L2, one can see that the noun components in idiomatic VPs generally do not change (except for occasional changes in number and case), but their morphosyntactic constructions are different, e.g.

1. πούλησε την ψυχή μου στο διάβολο
 poulo tin psikhi mu sto diavolo
 sell 1SG the ACC soul ACC my 1PP to-the ACC devil ACC
 se-PP Construction. V ACCTHEME se-PPGOAL
- მიჰყიდა სული ეშმაკს
 mihqida sulishmaks
 PV-O3sell – AOR.S3SG soul-NOM devil-DAT
 Double Object Construction. V NOM_{THEME} DAT_{GOAL}

Both languages have a relatively free word order, the head nouns of phrases are similar, but the morphosyntactic constructions are different (L1 uses the Accusative in the function of the Dative; L2 has a Dative form). At the same time, if a Acc. – Gen. construction shift with the verbal component πούλω - poulo (to sell) is possible for a standard sentence, it is impossible for a sentence with an idiom, e.g. πούλω του διαβόλου την ψυχή – poulo tu diavolu tin psikhi (such a construction is impossible not only because of morphosyntactic correlation, but because of its meaning). So, if we try to translate a Greek idiom into Georgian, and vice versa, we can replace one construction with another, in particular, a prepositional phrase or double object constructions can be replaced by a construction with a dative indirect object. Such a transformation is possible if the phraseme of the Greek language possesses a verbal component with the possibility of the construction of a dative shift outside the idiom.

(2) Comparing possible variants of verb phrase idioms and taking into account the morphologically rich verbal paradigms of L1 and L2, we can see that the main point is to consider the transitivity of the verbal components and not only their passivization. It is well known that a transitive verb can be passivized in order to turn it into an intransitive one. Passivization itself involves replacing the subject by the direct object, e.g.

2. (a)	ανοίγει anigi open 3SG	την tin the ACC	καρδιά kardia heart ACC
(b)	გულ-ს gul-s heart DAT	უ-ხსნ-ი-ს u-khsn-i-s OV-ხსნ – 3SG	
3. (a)	ανοίγει anigi open 3SG	η i the NOM	καρδιά kardia heart NOM
(b)	გული-ი gul-i heart Nom.	ე-ხსნ-ებ-ა e-khns-eb-a SubV-ხსნ-3SG	

If we compare (2a) with (3a), we can see that the main difference between the two is a transitive VP scheme without any additional markers for the passivization of verbal component in Modern Greek (3a), and additional version markers for the passivization of verbal component in Georgian (2b). Georgian translations of these idioms differ in transitivity schemes, including completely different noun (in case) and verb (in personality: (2b) – tripersonal, (3b) – bi-personal; in version: (2b) – objective version, (3b) – neutral version) components.

Conclusions

In comparison with other kind of idioms, LL idioms are transparent and show correspondence between the whole meaning of an idiom and the semantics of its separate components in L1 and L2. So, providing a careful corpus-based analysis of Modern Greek and Modern Georgian verb phrase idioms (39 units), it seems possible to highlight the degree of syntactic correlations between idioms in languages with different morphosyntactic structures, i.e.:

(a) Parallel variants of alterations in L1 and L2 can be considered as similar functions of different levels;

(b) Transitivity of verb phrase structure, especially the passivization of some verbs, can be considered as a part of the underlying syntactic structures in different languages;

(c) Different morphosyntactic transformations restrict the translation of idioms, if we pay attention not only to the meaning of components, but also to their morphosyntactic behaviour.

It should be noted that the cross-linguistic similarities, as well as differences, cannot be applied to all kinds of idioms. Thus, the transformation of idioms in L1 and L2 might depend upon a specific morphosyntactic structure.

Bibliography

- ალექსიადუ 2007:** Alexiadou, A., *Studies in the Morpho-Syntax of Greek*. Cambridge Scholars Publishing.
- ალექსიადუ 2000:** Alexiadou, A. & E. Anagnostopoulou, Greek syntax: a principles and parameters perspective. *Journal of Greek Linguistics* 1, გვ. 223-263.
- ალექსიადუ 2001:** Alexiadou, A., & E. Anagnostopoulou, The subject-in-situ generalization and the role of case in driving computations. *In: Linguistic Inquiry* 32, გვ. 193-231
- ანაღნოსტოპულუ 2003:** Anagnostopoulou, E., *The Syntax of Ditransitives. Evidence from Clitics*. Mouton de Gruyter.
- აფრიდონიძე 1983:** Apridonidze, Sh., Idiom and Idiomacity. *Linguistic Studies*, Tbilisi, გვ. 64-75.
- ბეიკერი 1994:** Bakker, E., 1994. Voice, aspect, and Aktionsart: middle and passive in ancient Greek. *Voice: form and function*, Amsterdam: J. Benjamins, გვ. 23-47.
- ბიქსი 2004:** Beekes, R., *Comparative Indoeuropean Linguistics: An Introduction*. Thessaloniki: University Studio Press (ბერძნულად).
- გაკი 1977:** Gak, V.G., To Typology of Linguistic Nomination. *Linguistic Nomination: General Issues*. M.: Science, გვ. 230-294 (რუსულად).
- ვაინრაიხი 1969:** Weinreich, U., Problems in the analysis of idioms. *J. Puhvel (ed.) Substance and Structure of Language*. Berkeley, CA: University of California Press, გვ. 23-81.
- ვინოგრადოვი 1977:** Vinogradov, V.V., On General Types of Phraseological Units in Russian Language. *Selected Works. Lexicology and Lexicography*, M., გვ. 140-161.
- თაყაიშვილი 1961:** Takaishvili, A., *Issues on Georgian Phraseology*. Tbilisi: GNAS (ქართულად).
- კატი 1963:** Katz, J. J. & P. Postal, The semantic interpretation of idioms and sentences containing them. *MIT Research Laboratory of Electronic Quarterly Progress Report* 70, გვ. 275-282.
- ლარსონი 1990:** Larson, K. R., Double Objects Revisited: Reply to Jackendoff. *In: Linguistic Inquiry*, ტ. 21, # 4, გვ. 589-632
- ლიონტასი 2002:** Liontas, J., Transactional Idiom Analysis: Theory and Practice. *Journal of Language and Linguistics* 1. University of Buckingham (UK) Press, გვ. 17-52.
- მაკაი 1972:** Makkai, A., *Idiom structure in English*. The Hague: Mouton.
- ნიუმარკი 1988:** Newmark, P. *A Textbook of Translation*. New York: Prentice Hall
- ნიუნბერგი 1994:** Nunberg, G., Sag, I. A. & T. Wasow, Idioms. *Language* 70, 491-538.
- პოლარდი 1994:** Pollard, C. F., Sag, I. A., *Head-Driven Phrase Structure Grammar*. Chicago: University of Chicago Press.

- რიმანი 2001:** Reihemann, S. Z., *A constructional approach to idioms and word formation*. Dissertation submitted to the Department of Linguistics and the Committee on Graduate Studies of Stanford University.
- სიმეონიდის 2000:** Simeonidis, X., *Introduction to Greek Phraseology*. Thessaloniki: Kodikas (ბერძნულად).
- ფილიპაკი-ვარბურტონი 1992:** Filippaki-Warburton, I., *Introduction to Theoretical Linguistics*. Athens: Nefeli (ბერძნულად).
- ფილმორი 1968:** Fillmore, Charles J., *The Case for Case. Universals in Linguistic Theory*, New York: Holt, Rinehart and Winston.
- ფრეიზერი 1970:** Fraser, B. Idioms within a transformational Grammar. *Foundation of Language* 6, გვ.22-42.
- ჯეკენდოფი 1990:** Jackendoff, R., On Larson's Treatment of the Double Object. *Linguistic Inquiry*, ტ. 21, #3, გვ. 427-456;
- ჩომსკი 1995:** Chomsky, N., 1995, *The Minimalist Program*. Cambridge, MA: MIT Press.
- ჰალე 1993:** Hale, K., & S. J., Keyser, On argument structure and lexical expression of syntactic relations. *In the View from Building 20*, K. Hale and S. J. Keyser (eds), Cambridge, MA: MIT Press, გვ. 53-109
- ჰოკეტი 1956:** Hockett, C. F., Idiom formation. *In the collection For R. Jakobson: Essays on the Occasion of His Sixtieth Birthday*, The Hague: Mouton, გვ. 222-229.

Lexicographic Sources

- აბულაშვილი 2007:** Abulashvili, M. & Shamanidi S., *The Anthology of Modern Greek Poetry*. Tbilisi, Logos;
- ბაბინიოტისი 1998:** Babiniotis, G., *The Dictionary of Modern Greek*, Athens;
- დემირი-პროდრომიდუ 1983:** Demiri-Prodromidou, E., Nikolaidou-Nestora, N., Tryfona-Antonopoulou, N., *The language of the idioms and of the expressions*. Thessaloniki: University Studio Press;
- ვლახოპულოსი 2007:** Vlachopoulos, S., *The Dictionary of Modern Greek Idioms*. Klidarismos;
- სტავროპულოსი 1998:** Stavropoulos, D.N., Hornby, A.S., *Oxford English-Greek Learner's Dictionary*, Oxford University Press;
- შამანიდი 2009:** Shamanidi, S., *Modern Greek-Georgian Dictionary*. Tbilisi;
- ჩიქობავა 1950-1964, 2008:** Chikobava, Arn., *An Explanatory Dictionary of the Georgian Language (I-VIII)*, Tbilisi.